ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება

N 8
30/12/2019

8-08-4-201912301539

მიღების თარიღი -27დეკემბერი 2019 წელი

“ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N6 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მეორე პუნქტებისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

„ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღების, გადახდის ინსტრუქციისა და გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმის დამტკიცების შესახებ“ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 ივნისის N6 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 21.06.2019 წელი, ს.კ. 210020010.35.114.016422) შეტანილი იქნეს შემდეგი ცვლილება:

მუხლი 1

დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „საქართველოს ორგანული კანონის“ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის

პირველი პუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტის, 93-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3, მე-4 მუხლების, მე-5 მუხლის მე-3 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს“.

მუხლი 2

დადგენილების პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 1. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქცია თანახმად დანართისა (დანართი 1)“.

მუხლი 3.

დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 2. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ორგანიზაცია-დაწესებულებების დასუფთავებისათვის მოსაკრებლის ოდენობა თანახმად დანართისა (დანართი 2)“

მუხლი 4.

დადგენილების მე-3 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „მუხლი 3. დამტკიცდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავებისათვის გადახდის ქვითრის ტიპიური ფორმა თანახმად დანართისა (დანართი 3).

მუხლი 5.

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 1 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის)

მუხლი 6.

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის)

მუხლი 7.

დადგენილებით დამტკიცებული დანართი 3 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით (თან ერთვის)

მუხლი 8.

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზაალ მამალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე
ხელმძღვანელობა